

რეპრესირებული მწერლების ლიტერატურული და პოლიტიკური
პოზიცია

(ვ. შალამოვის, ა. სოლჟენიცინის, ლ. გოთუას და

ჟ. ამირეჯიბის შემოქმედების მიხედვით)

ეკა მაისურაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ხელოვნების დამეცნიერების ფაკულტეტზე, შედარებითი
ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნის შესაბამისად.*

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ბელა წიფურია, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2016 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ, აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ეკა მაისურაძე

20.06.2016

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის თემაა საბჭოური რეპრესიების ასახვა ლიტერატურაში ოთხი მწერლის - ვ. შალამოვის, ა. სოლჟენიცინის, ლ. გოთუას, ჭ. ამირეჯიბის ცხოვრებისა და შემოქმედების მაგალითზე. საბჭოთა რეპრესიები, განხვავებული და თვისუფალი აზრის დევნა, უსამართლო დახვრეტები და გადასახლებები - საბჭოთა წარსულის მქონე ქვეყნებში ეს ტრავმატული გამოცდილება კვლავაც აქტუალურია. ჯერ კიდევ არ დასრულებულა ამ წარსულის გადააზრების, ისტორიული გამოცდილების გაცნობიერების პროცესი.

მით უფრო მნიშვნელოვანია იმ მწერალთა ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევა, რომელთა პირად ბიოგრაფიზეც იქონია გავლენა საბჭოთა სინამდვილემ. მწერალი, რომელიც თავად ხდება ამგვარი ძალადობის მსხვერპლი, საკუთარ ნაწარმოებებში მის რეფლექსიას ახდენს. მწერლის პერსონალური გამოცდილება სოციუმის და მისი თითოეული წევრის მიერ გადატანილი ძალადობის ვერბალიზაციისა და რეპრეზენტაციის საშუალებას ქმნის. შესაბამისად, რეპრესირებული მწერლებისა ბიოგრაფია და მათი ნაწარმოებები ლიტერატურისმცოდნეობისათვის ფასეული საკვლევი მასალაა, რაც ეპოქის პრობლემების აღქმის, ტექსტისა და ეპოქის მიმართების გაანალიზების საშუალებასაც ქმნის.

ჭაბუა ამირეჯიბი - სასჯელისა და გაქცევების რეკორდი, ლევან გოთუა - სიცოცხლის მესამედი გადასახლებაში, ვარლამ შალამოვი და ალექსანდ სოლჟენიცინი - „ბანაკური“ გამოცდილების ასახვა ლიტერატურაში... ეს ოთხი მწერალი, მსგავსი ცხოვრებისეული გამოცდილებით და განსხვავებული შემოქმედებით, ნაშრომის ძირითად თემას წარმოადგენს.

ძირითადი სიტყვები: რეპრესირებული მწერლები, საბჭოთა გამოცდილება, ლიტერატურული რეფლექსია.

Abstract

Soviet repressions, the persecution of different and free opinion, unfair executions and expatriation are the consistent part of Soviet past for the countries which have spent seven decades under the Soviet regime – the first decades of which have been especially brutal, marked by totalitarian rule, bloody repressions, expatriations to Soviet camps, harsh censorship on literature.

The writers with personal knowledge of “Soviet” reality in their works reflected to their own biographical experience - generalizing, analyzing and conceptualizing their life stories and creating valuable texts which help the readers to see the human values beyond the reflection of the crisis of humanity.

Some writers miraculously survived Soviet repressions and with their memorials brought the history of our country to us: Chabua Amirejibi - the record of punishments and escapes; Levan gotua - one third of life spent in expatriation; Varlam Shalamov and Alexandr Solzhenitsyn - "camp" experience and its reflection in the literature.

The research is focused on these 4 writers with the similar life experiment and with different life works.

Key Words: Repressed writers, Soviet experience, Literary reflection.

მადლობა

სადიპლომო ნაშრომის თემატიკით დაინტერესებასა და თემის მომზადების პროცესში გაწეული დახმარებისათვის, კონსულტაციებისა და რჩევებისათვის მადლობას ვუხდით ილია სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებს, ასევე - ჩემს სამეცნიერო-აკადემიურ ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ქალბატონ ბელა წიფურას.